„თვითმმართველობა უპირველესი რამაა ხალხის კეთილდღეობის საქმეში. საცა ერთად ვიყავით, ეკლესიაში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში... კეთილი სანდოობა, ნიშანია ერისა, თუ ოჯახისა ცოდვათ თუ ბევრად დაამტკიცეთ, ხარენი-ხარენთადი ანის ვალიკეთილი, ითმ მიგვეთ ვალ ანგრეთხეს აღვილი იყის.“

ხობის მოამბე

№8 (7133) 17 ივლისი,
შაბათი, 2021 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 ივნისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოთხი საკითხი. მათ შორის, დადგენილების პროექტი:

„ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელშიც მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების წინადადების, პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით განხორციელდა სხვადასხვა სახის ცვლილებები.

სხდომაზე მომდევნო საკითხად განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრასა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მუშაობის პროცესში გამოვლინდა ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგის კონსულტაციასა და დახმარებას.

დღის წესრიგში დამდგარი არამუდმივი ამოცანის გადაჭრის მიზნით, აუცილებელი გახდა ხელშეკრულების საფუძველზე ფსიქოლოგის აყვანა. შრომითი ხელშეკრულებით ფსიქოლოგის აყვანის თაობაზე, კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად, საკრებულოსგან მერიას მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით ფსიქოლოგის აყვანის თაობაზე.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, განთავსდება შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) რუსთაველისა და წერეთლის ქუჩების კვეთაზე–საგზაო ნიშანი 1.7.2.-1.7.3. „მეორე ხარისხოვან გზასთან გადაკვეთა“ 2 ცალი (რუსთაველის ქუჩაზე) და საგზაო ნიშანი 2.3 „დაუთმე გზა“ წერეთლის ქუჩის მხარეს;

ბ) რუსთაველისა და ფოთის ქუჩების კვეთაზე–საგზაო ნიშანი 4.3. „წრიული მოძრაობა“ (სამივე კვეთასთან) და საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“ (ფოთის ქუჩის მხარეს);

გ) დავით აღმაშენებლის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის პირველი შესახვევის კვეთაზე-საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“ დავით აღმაშენებელის პირველი შესახვევის მხარეს;

დ) დავით აღმაშენებლის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის მე-2 შესახვევის კვეთაზე-საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“ დავით აღმაშენებელის მე-2 შესახვევის მხარეს;

ე) ზ. გამსახურდიასა და 9 აპრილის ქუჩების კვეთაზე, ზ. გამსახურდიას ქუჩაზე მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

ვ) 9 აპრილისა და ც. დადიანის ქუჩების კვეთაზე, 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

ზ) მ. კოსტავას ქუჩაზე ლიბერთი ბანკის მიმდებარედ მოეწყოს ქვეითად მოსიარულეთა ზებრა გადასასვლელი, აღიჭურვოს სათანადო საგზაო ნიშნით;

თ) შარტავას ქუჩის დასაწყისში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა. ქუჩის მარჯვენა მხარეს; პარკირების საგზაო ნიშანი 7.4. „დგომის ადგილი“. დამატებითი ინფორმაციის დაფით 8.6.1. სავალ ნაწილზე დატანილიქნეს 30 მეტრის მანძილზე პარალელური პარკირების ჰორიზონტალური მონიშვნა;

ი) ზ. გამსახურდიას ქუჩის დასაწყისში 9 აპრილის ქუჩის მიმართულებით გზის მარცხენა მხარეს, საგზაო ნიშანი 7,4, „დგომის ადგილი“, დამატებით ინფორმაციის დაფით 8.6.1 სავალ ნაწილზე დატანილიქნეს 50 მეტრის მანძილზე პარალელური პარკირების ჰორიზონტალური მონიშვნა;

კ) საჯიჯაო-ახალი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე ორივე მხარეს, საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსდეს საგზაო ნიშანი 3.12. ღერძზე დატვირთვის მასის შეზღუდვა.

სხდომაზე ბოლო საკითხად განიხილეს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის 35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის, ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე, არასაკმარისი აღმოჩნდა და დამატებულიქნა 68000 ლარი. ეკონომიების ხარჯზე განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტის 3000 ლარით გაზრდა. საბოლოო ჯამში პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 587330 ლარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კოვიდ-19

ვაქცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო პასუხისმგებლობაა

კოვიდპანდემია მთელი მსოფლიოს ტკივილად იქცა, გამონაკლისი არც საქართველოა, რამაც დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყნის მთავრობა, ჯანდაცვა, მოსახლეობა...

მიუხედავად გატარებული ღონისძიებების და რეგულაციების განხორციელებისა, ვრცელდება ახალი შტამები, რაც ძალიან დასაფიქრებელია და მეტ სიფრთხილეს საჭიროებს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის განცხადებით, კორონავირუსის წინააღმდეგ აცრა სავალდებულოა, საზოგადოებამ თუ მაღალი პასუხისმგებლობა არ გამოიჩინა და იმუნიზაციის პროცესში მასიურად არ ჩაერთო. კოვიდ პანდემია არ დასრულდება.

ხობში მაისის თვიდან დაიწყო პანდემიის წინააღმდეგ აცრების იმუნიზაციის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს „ევექსის“ კლინიკაში. ამ საქმეს კოვიდკლინიკაში უძღვებიან გადამზადებული ოჯახის ექიმები **მანანა (აზა) საჯაია** და **ირმა ჯობავა**, მედდა **ნინო ჩაგინავა**.

საბედნიეროდ, ხობში დასაწყისიდან დღემდე, იმუნიზაციის პროცესი ყოველგვარი გართულებების გარეშე მიმდინარეობს, რაც მათი დამსახურებაა.

იმისათვის, რომ პანდემია ბოლოს-დაბოლოს დამთავრდეს, ქვეყანამ ამოისუნთქოს, გაძლიერდეს ეკონომიკა, რომ ქვეყანა გადაურჩეს მეოთხე ტალღის აფეთქებას, რომელიც უკვე, შეიძლება იქვას, დაიწყო კიდეც, საჭიროა საყოველთაო ვაქცინაცია მთელ ქვეყანაში.

კოვიდ 19 ვაქცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო პასუხისმგებლობაცაა.

6

ვუოცოვთ!

თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდული პირველობა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ხობელი მოკრივეებისთვის:

დემურ ქაჯაია ევროპის ჩემპიონი გახდა, თათია ბუკია ვერცხლის მედალოსანი.



ნომრის სტუმარია კობა კობახიძე– მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი

ბატონო კობა, გაეცანით გაზეთის მკითხველებს.

–დავიბადე 1975 წლის 22 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში, დედა–ზაირა იოსავა პროფესიით ბუღალტერი, წლების განმავლობაში იყო შემნახველი სალაროს მოლარე.

მამა, შალვა კობახიძე, პროფესიით აგრონომი, მუშაობდა თორსის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად, შემდგომში პირველი მაისის კოლმეურნეობაში აგრონომად, მთავარ აგრონომად და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ამავე სოფლის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ქ. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საინჟინრო ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1998 წელს.

მყავს მეუღლე სოფიო ბერაია, პროფესიით ბიოლოგი და სამი შვილი.

ვიდრე ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდით საკმაო გზა გაიარეთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორ პასუხობდით ახალ-ახალ გამოწვევას?

–2007 წლის აგვისტოდან დავინიშნე საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ხობის არქივის დირექტორად.

2012 წლიდან 2020 წლამდე ვიყავი ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი“-ს დირექტორი.

2020 წლის იანვრიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი.

მინდობილი საქმისადმი სიყვარულმა და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ განაპირობა ჩემი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე გადაყვანა.

არქივში ყოფნის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საარქივო ფონდი. მოძიებულიქნა და უახლესი ისტორიის არქივს გადაეცა ხობის რაიონის მოსახლეობის (დაბადების. ნათლობის, გარდაცვალების) მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო ჩანაწერების წიგნები.

საფეხბურთო კლუბში ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით გარემონტდა საცურაო აუზის შენობაში არსებული ოთახები და საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებისთვის გაკეთდა გასახდელები. ბავშვებს შეექმნათ ელემენტარული პირობები ვარჯიშებისთვის. ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე დამონტაჟდა ინდივიდუალური სკამები, ფეხბურთელებისთვის. გაკეთდა ახალი გასახდელები. კლუბმა ჩემი უშუალო ჩართულობით აიღო ჩემპიონატში ასპარეზობისთვის საჭირო ლიცენზია. იყო გარკვეული ჩავარდნებიც, მაგრამ საერთო ჯამში დადებითად ვაფასებ კლუბში ჩემი მოღვაწეობის პერიოდს.

რა არის ის ნიშანთვისება, რაც აუცილებელია ხელმძღვანელისთვის და რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?

–ხელმძღვანელი ვერ იქნება ყველა სფეროში კომპეტენტური, მას უნდა შეეძლოს პროფესიონალების მოსმენა და სწორი დასკვნების გამოტანა.

თქვენთვის უცხო სფეროს (კულტურა, სპორტი) ხელმძღვანელობა გიწევთ, მით უფრო პანდემიის პირობებში მოგიწიათ მუშაობა, შეაჯამეთ რა მდგომარეობაა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში დარგების მიხედვით?

–ჩემი მუშაობის დაწყება დაემთხვა რთულ პერიოდს, პანდემიიდან გამომდინარე ცენტრი ვერ ახერხებს სრული დატვირთვით მუშაობას, მიუხედავად ამისა, გარკვეულ დარგებში გვაქვს წარმატებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპორტი.

გასულ და მიმდინარე წელს ჩვენი სპორტსკოლის აღზრდილებმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კრივში მიაღწიეს წარმატებებს საქართველოს ჩემპიონატებში, ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო და ევროპის პირველობებზე გვყავს ჩემპიონები და პრიზიორები. კულტურის დარგი პანდემიის გამო არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. პრაქტიკულად პარალიზებული იყო გასულ წელს. ხოლო მიმდინარე წელს ჩვენი მოცეკვავეები იმყოფებოდნენ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მოიპოვეს ფესტივალის გრანპრი და მიწვეულნი არიან უკრაინაში ანალოგიურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. მიმდინარე წლიდან მუსიკალურ სკოლაში მოსწავლეებს არ უწევთ სწავლის საფასურის გადახდა, სწავლა უფასოა.

ყველა დარგში გეყოლებათ დასაყრდენი პიროვნებები, რას იტყვით მათზე, დარგის წარმატებები ხომ მათ მონდომებაზეა დამოკიდებული.

–ყველა დარგს ყავს მენეჯერი, რომელთა პროფესიონალიზმზე და პასუხისმგებლობაზე მთლიანად დამოკიდებულია ცენტრის წარმატებები.

ამ დღეებში დაიწყო კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ შექმნილი თოჯინების თეატრის სპექტაკლ „სამი მეგობარის“ გასვლითი ჩვენებები მუნიციპალიტეტის სოფლებში, რაც მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. პანდემიის პერიოდში რა იყო ამ ჩვენების მიზანი?

–ძინდა მადლობა გადავუხადო მთლიანად შემოქმედებით ჯგუფს იმ სიხარულისთვის, რასაც ისინი მოზარდ მაყურებელს ანიჭებენ. მუნიციპალიტეტის სოფლებში გასვლით ჩვენებებზე მონაწილეობას ღებულობს თოჯინების თეატრთან ერთად ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“, ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული წრეების აღსაზრდელები. აგვისტოს თვემდე ყველა სოფელში გაიმართება ჩვენებები. პანდემიის გამო ადამიანები ფსიქოლოგიურად დათრგუნული არიან და ვცდილობთ მათ გახალისებას.

თითქმის ყველა სოფელში აღნიშნავენ, რომ მსგავსი ღონისძიებები ათ ზოგიერთ შემთხვევაში 20 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა და გამოხატავენ მადლიერებას.

თქვენ, როგორც ხელმძღვანელი, რას ფიქრობთ, რა არის უპირველესი ცენტრში შემავალი დარგების წარმატებების მიღწევაში, რა არის თქვენთვის პრიორიტეტი?

–წარმატების საწინდარი ზოგადად პროფესიონალიზმი და მონდომებაა.

თქვენი დიდი ოჯახი გამორჩეულია კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით. რა განაპირობებს ამას და ძნელია ასეთი ოჯახის შვილობა?

–რათქმა უნდა, ძნელია ყოველი ნაბიჯი გადადგა განსაკუთრებულად, მოზომილად, უნდა გაუფრთხილდე ოჯახის ტრადიციებს, მშობლების, წინაპრების მიერ მოპოვებულს.

რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი?

–ოჯახი არის წმინდა სალოცავი, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

როგორც ამბობენ, სიყვარული გადაარჩენს ქვეყნიერებას, რა არის თქვენთვის სიყვარული?

–ამ საკითხზე ჭაბუა ამირეჯიბს მოვიშველიებ-„ დავუშვათ მოვიდა მტერი, გაგითელა შენი მოდგმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი, შეგიგინა სარწმუნოება, ცხადია, ამ კაცს კლავ, მაგრამ იმიტომ კი არ კლავ, რომ გძულს, უპირველესად ყოვლისა, იმიტომ, რომ გაგითელა, შეგიგინა, წაგართვა ის, რაც გიყვარდა. შენი წინააღმდეგობა სიყვარულიდან იწყება, სიყვარულიდან მოდის მსხვერპლის გაღება, თავგანწირვა და ის ძლევამოსილება წართმეულს რო დაგიბრუნებს“

რწმენა თუ მონდომება, რომელია მთავარი წარმატებების მიღწევაში?

–ურწმუნო ადამიანი წარმატებებს ვერ მიაღწევს. ალბათ ორივე ერთად.

თქვენი აუხდენელი ოცნება?

–ზოგადად მეოცნებე არ ვარ. დასახული მიზნის მისაღწევად შეიძლება წლები დამჭირდეს, მაგრამ აუცილებლად მივაღწევ.

როცა აუცილებლობა დადგება, რა პოზიციას დაიჭერთ, საქმე თუ მეგობრობა?

–რთული კითხვაა, მოდი ასე ვთქვათ, გააჩნია რა შემთხვევაში. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმესა და მეგობრობას შორის თუ ასარჩევი გახდა, ალბათ, საქმე. ზოგადად, მეგობრის გარეშე ადამიანი ცოდვაა.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

პრიორიტეტი—პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარული

სოფელი

„მოსახლეობა მაღლიერია გაკეთებულით, თუმცა, გასაკეთებელიც ბევრია“

ბიის ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ხობის მუნიციპალიტეტში, კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ხობის მარცხენა სანაპიროზე. უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 209 მეტრია, ხოლო ყველაზე დაბალი 35-50 მეტრის სიმაღლეზეა, ქალაქ ხობიდან დაშორებულია 6 კმ-ით.

ადმინისტრაციული ერეული შედგება სამი სოფლისგან: ბია, ბია-საშონიო და ზემო ბია. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია შეადგენს 1969 ჰექტარს. აქედან სახელმწიფო ტყის სექტორი 700 ჰექტარია. არასასოფლო მიწა 51 ჰექტარს შეადგენს. რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწა–კერძო საკუთრება 315 ჰ ექტარია, ხოლო სახელმწიფო–803 ჰექტარს შეადგენს.

ბია მუნიციპალიტეტში ერთერთი ულამაზესი სოფელია, იგი მდინარე ხობისწყლის მარცხნივ, ბორცვ-გორაკებზეა შეფენილი. ბიის, როგორც დასახლების ძირითად და საწყის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ დღევანდელი ზემო ბია.

ბიის ყველაზე მაღალ ბორცვზე (ზღვის დონიდან 206 მ.) წმინდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია დგას. ამ ბორცვს მოსახლეობა „ოხვამეფერდს“ უწოდებს. ბორცვის სამხრეთით გამოდის ანკარა ცივი წყარო, რომელსაც „ღარღულას“ ეძახიან. ლეგენდის მიხედვით, სწორედ წყაროს ბერძნული დასახელებიდან მომდინარეობს „ბია“ სოფლის სახელი.

ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში დღეისათვის მოსახლეობა 252 კომლია 752 მაცხოვრებლით. სოფელში რეგისტრირებულია 74 აფხაზეთიდან დევნილი პირი.

ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამშენებლო ინერტული მასალების მოპოვების 2 კარიერი, 1 საჯარო სკოლა, 1 საბავშვო ბაღი, სოფლის ამბულატორიის ოთახი, 4 წისქვილი.

ბოლო სამი წლის (2018-2021 წწ.) განმავლობაში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის გამოსაყოფია ხობი–საჯიჯაო-ლესიჭინეს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ბიის (5300მ.) მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია, სადაც დაიგო ასფალტობეტონის საფარი, მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები და აშენდა ახალი მოსაცდელი. ასევე მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მდინარე ხობისწყალზე, 240 მეტრის სიგრძის საფეხმავლო ხიდი აიგო.

გარემონტდა და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიის საბავშვო ბაღს, ასევე ბიის საჯარო სკოლას, სადაც მოეწყო თანამედროვე სტანდარტების და შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის განკარგულების თანახმად, ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის გაზიფიცირების საქმეზე ბიის ადმინისტრაციულ ერთეულსა და ბია-საშონიოს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ხდება ავარია, ზიანდება წყლის მილი, მწყობრიდან გამოდის წყალსაქაჩის ელექტროძრავი, ან დენი ითიშება.

მიმდინარე წელს სოფლების მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელ ბიაში „კიტიაშნოხორის“ უბანში გარე განათება გაკეთდა. ბია-საშონიოში სასაფლაომდე მისასვლელი გზის განაპირას სანიაღვრე არხი გაკეთდება. ზემო ბიაში, გზის რთულ მონაკვეთზე რკინა-ბეტონის საფარი დაიგება. სოფელ ბიასა და ბია-საშონიოს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ხდება ავარია, ზიანდება წყლის მილი, მწყობრიდან გამოდის წყალსაქაჩის ელექტროძრავი, ან დენი ითიშება.

გასულ წლებში სოფლის მეურნეობის, მათ შორის თხილისა და სიმინდის მოსავალს, რომელიც ჩვენი მოსახლეობის ძირითად შემოსავალს შეადგენს, დიდი ზარალი მიაყენა აზიურმა ფაროსანამ, თუმცა მთავრობის მიერ ბოლო წლებში გატარებულმა ეფექტურმა ღონისძიებებმა დიდი შედეგი გამოიღო და ფაროსანას პოპულაცია მინიმუმამდე შემცირდა, რაც გასული წლის თხილისა და სიმინდის უხვ მოსავალზე აისახა. იმედი გვაქვს, წელს უფრო კარგი შედეგი გვექნება.

მიუხედავად მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და სხვადასხვა დარგში მიღწეული წარმატებებისა, როგორც ზოგადად ქვეყანაში, ასევე ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულებში გამოწვევად რჩება მოსახლეობის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა.

ამ მხრივ კარგი იქნებოდა ჩვენთან არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. სოფელში არსებული თერმული წყლების რესურსის გამოყენება სასათბურე მეურნეობისთვის. ბიას გოგირდოვანი წყლების ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა და წყლის გამოყენება, რომელსაც დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც უახლოეს წარსულში დადასტურებულია.

ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად მიმდინარეობს გზების მოხრეშვა.

ასევე სპორტული მოედნების მოწყობა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება.

მოსახლეობა მადლიერია გაკეთებული საქმეებით, თუმცა გასაკეთებელიც ბევრია. ჩვენი მთავრეობის მხარდაჭერით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხები დროულად იქნეს მოგვარებული.

ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს მერიის სხვადასხვა სამსახურებთან, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, შ.პ.ს. „ენერგოპროჯორჯიასთან“ და სხვა დაწესებულებებთან.

პანდემიის პერიოდში სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. მჭიდროდ ვთანამშრომლობდით „ჯანდაცვის ცენტრთან“–უბნის ექიმთან და ექთანთან.

მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. იმედია, ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ამომრჩეველი, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და მხარს ღირსეულ კანდიდატს დაუჭერს.

...და ბოლოს მინდა, ჩემს თანასოფლელებს, მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს და სრულიად საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული და წარმატებები.

მადლობა თქვენს გაზეთს!

გია შონია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ვაჟა ფშაველა-160

ვაჟას ფიქრიანი საოქმელი

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარს, საქართველოს ულამაზეს კუთხეში იშვა ადამიანი, რომლის შესამკობად ეპითეტები ზედმეტია და მის მრავალფეროვან და ღრმა ეროვნულობით გამსჭვალულ შემოქმედებას, დღემდე ინტერესი და დამფასებელი არ მოჰკლებია, თუმცა იყო დრო, როცა ამ დიდ პოეტსა და მწერალს, პუბლიცისტს, დრამატურგს, შემოქმედს ქართული ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენლები ქარიშხალს ატეხდნენ თავს და არაერთგვაროვანი შეფასებებით გულს ტკენდნენ...ეს ვაჟა-ფშაველა იყო...

იგი სოფელ ჩარგალში 1861 წლის ზაფხულის ცხელ დღეს-14 ივლისს დაბადებულა, თვალებზე ჩამოფარებული შავი, გრძელი თმებით. მასზე, აღფრთოვანებული მნახველები ამბობდნენ, რომ „დავლათიანი იქნებაო“,სახელიანიო. ეს პატარა ბიჭუნა ლუკა რაზიკაშვილი, იგივე ვაჟა-ფშაველა იყო, რომელსაც გამორჩეულობის ნიშანი დაბადებიდანვე დაჰყვა. დედაც კი, „რომელსაც ჯერ კიდევ გათხოვებამდე, წინასწარმეტყველური სიზმარი უნახავს, გრძნობდა, რომ ზეცასთან წილნაყარი შვილი ჰყავდა და პატარაობიდანვე სერიოზული, დიდი საქვეყნო საქმეებისკენ მოწოდებით ზრდიდა. აღზრდით კი, როგორც თვითონ ვაჟა ამბობს, აღზარდა „დედამ, მამამ და ბუნებამ“.

14-15 წლისას „უკვე ბლომად“ ჰქონია თავისი ლექსები, რომლებიც პირველად ახალი თაობის ცნობილი მასწავლებლისთვის–ანტონ ფურცელაძისთვის უჩვენებია. მას შეუქია პატარა ლუკა, მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ შეუფასებია და ცოტა „გულდაწყვეტილი წამოსულა მისგან.“ ...წიგნიც კი უჩუქნია, მაგრამ, ეტყობა „მისი მოპყრობა უფრო ვალის მოხდასავით იყო ახლგაზრდობის მიმართ და არა გულიანი ჩაკვირვება,...ისეთი, როგორც ილიამ გამოიჩინა ვაჟას მიმართ“...

ვაჟა-ფშაველას ბავშვობიდანვე სურდა კარგი სწავლა-განათლების მიღება. ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი, თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი, შემდეგ გორის საოსტატო სემინარია არ აკმაყოფილებდა მის გულისწადილს ცოდნის მისაღებად. წვალებით გაემართა პეტერბურგს და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად, რომელიც ორიოდ წლის შემდეგ, უსახსრობის გამო მიატოვა. ისევ საქართველოში ჩამოვიდა. ბევრი უიმედობა და გულდაწყვეტა გამოიარა. ერთ ლექსში გულცივობით მიღებული ტკივილი ასე გამოუხატავს:

„მკვდარია უგრძნობი კაცი
უსაზარლესი მკვდარზედა,
მით რომე სიცოცხლე უდგას
სალის ყინულის ტახტზედა.
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რომ აცვან
ჯვარზედაო“...

„მთებიდან გამოყოლილი ღადარი“ პოეზიისა არ აძლევდა მოსვენებას მის პოეტურ სულს და წყაროსავით მოედინებოდა მისი ოპტიმიზმითა და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით გამთბარი... მისი ერთერთი გამორჩეული ლექსი, რომლითაც დაიწყო „გულს მოფონება“, იყო „ამირანი“, რომელიც მრავალმხრივ სიმბოლურ და ღრმა ჩანაფიქრს ატარებდა. მასში საკუთარი თავიც იგულისხმა და საქართველოს მძიმე ცხოვრებაც...რაც მთავარია, ვაჟა „ხალხურ შემოქმედებაზე აღმოცენებულ, ფშაურ დიალექტით შეზავებულ“ მძლავრ და თავისებური ბრწყინვალების მქონე ლექსებს წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით და ბოლოს შეჩერდა „ვაჟა-ფშაველა“-ზე, რომელიც მისთვის თუშ მეგობარს დიმიტრი ცისკარიშვილს შეურქმევია.

„ვაჟა“ კარგ ბიჭს, ვაჟკაცს ნიშნავდა მთაში და ეს სახელი, ამ გაგებით, მას, სწორედაც რომ შეეფერებოდა, რადგან ვაჟა-ფშაველა ცხოვრებაშიც ისეთივე გმირული სულისკვეთებისა ყოფილა, როგორებადაც მისი ლიტერატურული გმირები ისახებიან ჩვენს თვალწინ. ერისა და ქვეყნის მოყვარული, იგი თავისი პოეტური კვერთხით“ ფშავეთის ჯანსაღი მთებიდან გადმოადენდა ზოგჯერ სიმღერას და ზოგჯერ გოდებას, კვნესას, ვაჟკაცურ შეძახილს, ამაყი „თავჩაჩქნიანი“ მთის გულისტკივილს...

ვაჟას სიდიდის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი პოეზიისა და პროზის ხაზგასმა, სადაც ახდენს ის თავისი მყარი მორალური პრინციპების, განსხვავებული მხატვრული სამყაროთი საკუთარი ხალხის სულიერი ცხოვრების გადმოცემას, მაგრამ მისი ცხოვრების ერთგავარი „სამოქმედო გეგმა“, ადამიანურად, მოქალაქეობრივად გადასადგმელი ნაბიჯები ჩანს მის პუბლიცისტიკაში, რომელიც ზღვასავით დიდია და მღელვარე.

ვაჟა-ფშაველას მე-19 მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მოუწია ცხოვრება. ჩვენთვის–მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრებთათვის, ვფიქრობ მეტად საინტერესოა კარგად დავაკვირდეთ, თუ როგორი ცხოვრებისეული პლატფორმებითა და შეხედულებებით ცხოვრობდნენ საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ადამიანები და მით უფრო ისეთი დიდი ადამიანი, როგორიც იყო თავისი ქვეყნისთვის თავდადებული, ერის სულიერი ფსიქიკის გამომხატველი, ახალი ეთიკური პრინციპების წინ წამომწევი, დიდი ჰუმანისტი ვაჟა- ფშაველა, რომელსაც წელს დაბადებიდან 160 წელი უსრულდება.

თითქმის კანონზომიერებადაა ქცეული ის რეალობა, რომ საუკუნის დასასრული და ახალი საუკუნის დასაწყისი რევოლუციურ გარდაქმნათა პერიოდია ხოლმე მხატვრულ ლიტერატურაში და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ლიტერატურა სარკეა ერის ცხოვრებისა, მაშინ კარგად მივხვდებით, რომ ასეთ დროებას მოაქვს მძაფრი ემოციები და მძაფრი შეგრძნებები ცხოვრების ქარტეხილებისა...და მაინც, როგორი იყო ის ეპოქა, როცა ვაჟამ დაიგრგვინა: „სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.
არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა“-ო; საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის გუბერნიად იყო ქცეული.

ცარისტული რუსეთი ვერაგ პოლიტიკას ეწეოდა კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, რადგან ის კავკასიის ხალხთა თავისუფლების გასაღებს წარმოადგენდა. იდევნებოდა ქართული ენა, ნადგურდებოდა ქართული კულტურა, არ ტარდებოდა რეფორმები ქართველი გლეხობისთვის მოსარგი(აგრარული, სასამართლო, სამოქალაქო...) მიუხედავად ბატონყმობის გაუქმებისა, სახეზე იყო ბატონყმობის ნაშთები, რომელიც მკვიდრდებოდა ბატონყმობა ახალი სახით „დროებით ვალდებულების“ სახელით, რაც ზრდიდა გლეხობის უკმაყოფილებას.

თერგდალეულების ბრძოლის მიუხედავად, მეფის რუსეთი იღებდა ისეთ კანონებს, რომელიც ანგარიშს არ უწევდა მოსახლეობის არც წოდებრივ და არც კლასობრივ დაყოფას. იზღუდებოდა ქალაქის თვითმმართველობები თბილისში, გორში, ფოთში...

შეზღუდული იყო ინტელიგენცია...

„მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო,–არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად;“

(საკმარისი ქონებრივი ცენზის უქონლობის გამო...) ერთი სიტყვით, სახეზე იყო სოციალური ჩაგვრაც და ეროვნული ჩაგვრაც, რასაც თან სდევდა გლეხთა ამბოხებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ამ რთულ და ძნელბედობით სავსე საუკუნეში ყოველი ქართველის ვალი იყო ებრძოლა საქართველოს ეროვნული და სოციალური დამოუკიდებლობისთვის. თერგდალეულთა დაუღალავი მოღვაწეობა სხვადასხვა მიმართულებით აშკარად ამხელდა რუსიფიკატორებს. დაუღალავი საქმიანობით ისინი ცდილობდნენ რეფორმების გზით წაეყვანათ საქართველო ევროპისკენ. ისმოდა ერის მამის ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა ხმები...

ამ დიდ ადამიანთა ეპოქაში გაისმა ვაჟა-ფშაველას ღრმა ეროვნულობითა და თავისუფლებისკენ სწრაფვით სავსე სიტყვები, აზრები...

სამშობლოს მსახურების თემა განსაკუთრებულია და ვაჟა -ფშაველა წერილში „ფიქრები“ მკაფიოდ აყალიბებს იმ ეთიკურ ნორმებს, რომელსაც ის იცავდა მთელი ცხოვრების მანძილზე ამ მსახურებისას და მისი სიტყვები ისმოდა სხვებისთვის, როგორც მოწოდება:

„...დღევანდელს თითოეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა მივყავდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითოეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც რომში უნდა მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მისასვლელი გზით არ წავედით...რომს ავცდებით. სწორი გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურებაო“.

როგორც მწერალი და მეცნიერი გიგი ხორნაული ამბობს: „ვაჟა-ფშაველამ პეტერბურგში მოკლე დროში მოასწრო იურისპრუდენციაში ღრმად ჩახედვა“, ჩამოიტანა ლექციების ჩანაწერები, წიგნები და საქართველოში განაგრძნობდა სწავლას. იგი ძალღონეს არ იშურებდა და ცდილობდა მართლმსაჯულების –მთის ადათ-წესებისათვის, თავისი ქვეყნის კანონებისთვის რუსის „ზაკონების“ მისადაგებას და წერილების სახით საზოგადოებისთვის აზრის მიწოდებას. ასე იჩინა მისი დროის პრობლემებმა ვაჟას პუბლიცისტურ წერილებში თავი. ამიტომაც მნიშვნელოვანია ვაჟას წერილები, სადაც ნათლად ჩანს ქვეყანაზე მზრუნველი ლუკა რაზიკაშვილის საქვეყნო ფიქრთა არსი...

ზოგი წერილი ვაჟას თითქოს ამ საუკუნისთვის დაუწერიაო, იმდენად აქტუალურ თემებს ეხება. მისი შეხედულებები ზნეობაზე, სოფლის ღუნჭირ ცხოვრებაზე, ეთნოგრაფიაზე, თავისუფლებაზე, სოციალურ უთანასწორობაზე, ინტელიგენციის როლზე, განათლების აუცილებლობაზე, ძალიან საინტერესოა.

პუბლიცისტიკა, როგორც ვაჟას შემოქმედებითი სამყარო, არის ერთი კუთხე მის ინტერესთა წრისა, რომელიც ძალიან ფართოდ გადმოგვცემს დამოუკიდებლობის გზაზე საბრძოლველად გასული ერის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი, თავისუფლებისადმი... განმარტავს, რომ

...„თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა–წერდა ვაჟა-ფშაველა-თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“–ასე ამბობდა დიდი პოეტი.

პიროვნების თავისუფლებას ვაჟა-ფშაველამ მიუძღვნა თავისი შესანიშნავი პოემა „ალუდა ქეთელაური“, მაგრამ აქ მის ლიტერატურულ განხილვას არ შევუდგები. მინდა გაგიზიაროთ ვაჟას, როგორც საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის ფიქრები და აზრები, თუ რას ფიქრობს ის ქვეყნის ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე და როგორ უნდა წარმართოს ადამიანმა თავისი ცხოვრება ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის...

ვაჟას კარგად ესმის, რომ ფუჭია თავისუფლება, თუ ადამიანს სიტყვის თავისუფლება არა აქვს, მან იცის სიტყვის ძალა და ისიც, თუ საითკენ უნდა მიმართოს ის და რისთვის, აკი ამბობს კიდეც: “მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, -არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად;“ ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, „ხალხი ხალხზედა ჰ ღელავდეს“... ხალხის გასაბედნიერებლად სიტყვა რომ აიღო, მისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო, მისი ტკივილით უნდა იწვოდე და მისი სიყვარულით ჰკვებავდე სულს. ასეთი სულისკვეთებით უნდა წარუძღვე ერს ...ვაჟას აზრით,“...უაღრეს უგუნურებას ჰშვებიან (ისინი, ვინც) ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ... ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში

და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად“... „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი“.

სწორედ ეს- თემა - მონობის მოშორების, პიროვნების თავისუფლებისა და ერის განთავისუფლების იდეა არის მთავარი საკითხი მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეებისთვის და ვაჟას მთავარი საფიქრალიც, ამიტომაც ეძებს „კარგ ყმას“, „კარგ კაცს“, რომელსაც სხვისი რგება შეუძლია, ეს არის „ჩემი ყოველდღიურის ფიქრიო“ წერს პუბლიცისტი.“კაი კაცის“ განმარტებაც „საჩხრეკიაო“ ამბობს და ფილოსოფოს სპენსერს უწევს პაექრობას... კაი კაცების სახელები ისტორიას კი შემოუნახავს, შესანიშნავად იცის, რომ ოდესღაც „გულიც გვდებია“, ღირსეულ შვილთა უთელავთ სამშობლოს მინდორმთებია“, მაგრამ ეს მხოლოდ წარსულია, მას დღევანდელობა აინტერესებს, დღეს კი ვერ ჰხედავს ვაჟკაცებს ომახიანებს და „ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“-ო, აღნიშნავს, თუმც არ ტირის, რადგან

„ვაჟკაცს არ ჰშვენის ცრემლის ღვრა ქვითინი დიაცურადა. მტერს ხმალი უნდა საფრთხულად, კვალზედ მიყოლა მგლურადა“-ო. მოქმედება სწადია, საქმე...ვაჟას ესმის, რომ საფრთხულად ხმლის მომქნევი დღეს მხოლოდ ინტელიგენტი შეიძლება იყოს... ვაჟა-ფშაველა თავისი ძირითად პროფესიად პედაგოგობას მიიჩნევდა. მასწავლებლად მუშაობისას (ტოლათსოფელში, დიდთონეთში..), კარგად მიხვდა ინტელიგენტის როლს ცხოვრებაში, მაგრამ უკმაყოფილოა იმის წუწუნის მოსმენით, თითქოს ჩვენი ერი უკვე დაბერდა და, თითქოს რაღაცა სენი სჭირს! ვაჟა ამ აზრს არ ურიგდება და მიმართავს ამის მთქმელთ „ქართველებს ისეთი ავი ზნე

>>>>>>>>> 5

ვაჟა ფშაველა-160

4

არაფერი გვჭირს, სხვა ერსაც არა შჭირებოდეს, ან არა სჭირდეს, მაგრამ იმათ არსებობას, სიცოცხლეს და ბედნიერ მომავალს არც ერთი ჭკვიანი ადამიანი არ უარყოფს“... ერი სიცოცხლის წყაროს უნდა დაეწაფოს, თავისი ცხოვრებისთვის გამოსადეგი ვითარება შეჰქმნას, რომელშიც ინტელიგენცია უნდა

...„თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“

დაეხმაროს.სწორედ მან უნდა შესძლოს ხალხის ნების გამოხატვისა და მოქმედებისკენ საზოგადოების აზრთა წარმართვა, რასაც ვერ ამჩნევს, ამიტომ თავის ერთერთ წერილში–„ფიქრები“ (1901წელი) კრიტიკულად უდგება მათ ქმედებებს და საყვედურნარევად წერს:“ ამოდენა ვიშრომეთ, ვიღვაწეთ და არა იქნა ქართველ ერს თვალები ვერ ავახილებინეთო... ცოტა შეეჩერდეთ და ჩვენსავ თავს დავეკითხოთ: მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საერთოდ? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით–არაფერი. ინტელიგენციამ ჯერ ის ვერ შევიძელით გვესწავლებიან ერისთვის, ხალხისთვის რომ მთელი „რჯულ-საქრისტიანო არაა საქართველო,–ვერ ვასწავლეთ, რა არის, რასა ჰქვიან მამული, სამშობლო“... ვაჟა სწუხს, რომ ინტელიგენცია წიგნებს კი ჰბეჭდავს, მაგრამ მკითხველს კი ვერ იზიდავს, უწიგნურება კი ქვეყნის დამაქცევარია.

ვაჟა მთავარ პრობლემად უსახავს ინტელიგენციას სამოქმედო პროგრამისა და გეგმის უქონლობას და ხალხისგან შორს დგომას, ფიქრობს, რომ „თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია... მანამდე არც მდურვას ქართველის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული...“

ვაჟა- ფშაველას პესიმისტი ინტელიგენციის წამლად ცოდნით აღჭურვა მიაჩნია, ახლებური შეხედულებებით შეიარაღება და მოუწოდებს მათ, რო „ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა“, არ დაგვრჩეს „ღობეს გარეთ“ და რომ წოდებრივ განსხვავებებს დავუდოთ დასასრული.

ვაჟა-ფშაველა სწუხს, რომ ხალხი და კონკრეტულად ინტელიგენტთა ჯგუფი „მომივიდა ფიქრად“-ის ძახილს მიჰყოლია. ეს ფიქრები სურვილი და ნდომაა კაცთა, მაგრამ მათვე „ფიქრს უნარიც უნდა შესწევდეთო“ ქმნისა. ვაჟას მე-19 საუკუნის საზოგადოება არ მიაჩნია გამოღვიძებულად და ამიტომ ამბობს წერილში-„ცოტა რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა“, რომ „ჩვენი საზოგადოება ჯერ კარგა მანძილზე უკანა დგას დაწინაურებულ ერთა საზოგადოებაზე და იმიტომ შეუძლიან იქ ყოველგვარმა რეგვენმა აზრმა, რეგვენმა კაცმა ინავარდოსო“... უსაგნო „ფიქრმოსულმა ინტელიგენციამ მოიგონა ვითომდა ახალი აზრი: მეზობელ ერთან კეთილი განწყობილება ვიქონიოთო. ერთი ჰკითხეთ, როდის არა ჰქონია საქართველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაჟლეტა?!. „მეზობლები ვართ, მეზობლებიო! ვერაფერი ერის აღმზრდელი აზრი გახლავთ. ეს იცით რასა ჰგავს? კაცსა სცემდე და იმას უყვიროდე ხელი არგაიქნიო, ხელი არ გასძრა, ხუმრობა საქმე არ არის, მაღლიდამ ღმერთი ჰხედავს მტყუანსა და მართალსა!... ამგვარის აზრების ქადაგებას არა უშავდა რა კიდევ, რომ ისეთის სხივით არა ჰმოსავდენ, თითქოს ქვეყნის წყლულთაწამალი მხოლოდ ეს არის და სხვა არარა, რომ მთელი ქვეყნის ფიქრს არ აშორებდნენ უმთავრესი აზრიდამ, საგნიდამ და არ აცდენდნენ ამ ასკუპდი-დასკუპდის ცქერაში. ამ ვაუბატონებმა ჯერ ის უნდა იცოდნენ, რომ ერი შაერთებულად გენიოსია, იმას შეიძლება გარკვევით არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა, მაგრამ უეჭველია, რომ გრძნობს კი“...

ვაჟა-ფშაველა სასულიერო წოდების ხალხსაც მოიკითხავს და წერს: „რას აკეთებენ მღვდლები? სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს და რა დასაჯერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5-6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოაღვიძოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერობისა რომ გაეგებოდეთ?! ჩვენ ამას ვერა ვხედავთ, ან კი საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადმე“-ო.

დათითოკაცებულა ქვეყანა, უნდობლობა სუფევს ირგვლივ და მაინც ერის ერთიანობისთვის ეძებს

სწორი გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალს ქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურებაო“.

გზებს ვაჟა-ფშაველა, მისი გონება პატრიოტიზმითაა გამსჭვალული, მზრუნველობით...იცის, რომ ყოველ ნაფიქრს ვერ განახორციელებს, მაგრამ „მოვლენათა მიზეზის ძიებას“ მაინც ეწევა, რადგან მას კეთილგონიერებისკენ მიჰყავს ადამიანი...“ სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა: რკინისგზა, ტელეგრაფი, ტელეფონი,

ფონოგრაფი და სხვა ათასი მანქანა, ადამიანის ფიქრისა და ცოდნის ნაყოფია“. თუ ადამიანი არ ეძებს მისი „ცხოვრების ავკარგის მიზეზს“, ის ვერ უშველის თავის დუხჭირ ცხოვრებას და მუდმივ „რადა-რისთვინაობის“ განცდაში წაიღებს დროს ისე, „დღეს რომ ვწყევთ და ვკრძალავთ ძლიერს, როცა სუსტს ჩაგრავს, როცა მდიდარი ღარიბს ატყავებს-როცა ერთი მეორეს ჩაგრავს“...

ვაჟას უნდა შეკრას საზოგადოება, ერი-ბერი, უმცროს-უფროსი და ერთად დგომით ამხილონ ისინი, ვინც „ეტანებიან სხვის ამაგს, სხვის ლუკმას“, წინ წამოწევს პრობლემებს, თუ როგორ ჰყიდიან მამაპაპეულ მიწებს მემამულენი, როგორი ცუდი თვალთ უყურებენ ვაჭრობას და რომ ის მხოლოდ სომეხთა საქმე ჰგონიათ, როგორ არ ზრუნავენ გლეხობაზე, მუშაზე, რომლის „გონებას სძინავს“, როგორ ვერ იცავენ საკუთრებას და ჰხედავს, რომ ყოველივე ეს „უსწავლელობისა, ჩვენი სოფლურის ცხოვრებისა და ...გუთნისა და მწყემსური ცხოვრების ბრალია“. ამიტომ ეძებს გზებს, რომ მის ქვეყანაში განათლება, ცოდნა შევიდეს, რომ ყველა სოფელში თითო სასწავლებელი იყოს ექვს კლასიანი, ეროვნულ ნიადაგზე საგნების შესასწავლ განყოფილებით და კავკასიაში ერთი სამიოდე უნივერსიტეტი“... „რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს ათობით კი არა, ათასობით ჰყავდეს ხელის მომწერლები და ჩვენი თეატრი მუდამ წარმოდგენის დროს მაყურებლებით იყოს სავსე“...

ვაჟა-ფშაველა პროგრესულად მოაზროვნეა, მას მარტო მთის კი არა, მთელი ქვეყნის სატკივარი ტკიოდა, აღელვებდა, ერის სატკივარი გამოაქვს სამსჯავროზე, მთელი ქვეყნის სატკივარს უნდა უწამლოს და შეაიარაღოს ხალხი ნათელი აზრებით. უსწავლელთ ცოდნის ძალა შესძინოს, რადგან იცის, რომ „ნასწავლი ხალხი სოფელსაც ქალაქად გარდაქმნის“, ყოველივე ამისთვის კი ხალხს, ერს შეგნება უნდა მიეცეს, შეგნება, რომელიც „ხმალია ამ წუთისოფლისთვის ბრძოლაში“.

ვაჟა-ფშაველა გულწრფელია მთელ თავის ფიქრებშიც, ქმედებებშიც...ის მართლაც მთელი ცხოვრება „ხმალს ლესავდა“, იყო 1905 წლის რევოლუციის მოლოდინში და სჯეროდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვებას მოიტანდა...როგორც მწერალი გიგი ხორნაული აღნიშნავს, მართლაც ნაიალაღარ ხარს დაემსგავსა, რქით მიწის მჩხვერავს. აგულიანებდა, აფიცებდა ფშავ-ხევსურებს, ომისა და ბრძოლისკენ მოუწოდებდა, რაზმავდა, მზადყოფნას ავალებდა...უნდოდა სინამდვილედ ექცია „ბახტრიონში“ ნათქვამ-ნაფიქრალი, ეწადა ბერ ლუხუმად მოვლენოდა დამონებულ ქვეყანას“ თითქოს ახლოვდებოდა „საამური წამი“...მაგრამ დრომ შეაჩერა წინსვლა.. მოკლეს ილია და ისტორია სხვა რელსებზე გადავიდა...1905 წელს დაწერა ვაჟამ „ხმალივით მოქნეული სტატია-“კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ იმ ინტელიგენტთა წინააღმდეგ, ვინც იძახდა, რომ „ეროვნულ საკითხზე ლაპარაკი ჩამორჩენილობააო“ და კოსმოპოლიტი უნდა იყო დღესო: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“... ამბობდა დიდი მოაზროვნე.

დიახ, დიდია ვაჟას შემოქმედება, მისი საოცარი პოეზიითა და სულისშემძვრელი პროზით და დიდია მისი პუბლიცისტური ნამუშევრების არსი. მისი ცეცხლის ნაკვერცხლების შუქზე დაწერილი წერილები და ზოგადად აზრები, დღეს გაჩახჩახებულ ელექტროსავით უნათებს გზას ქართველობას ნათელი აზრებით გონების გამოსაღვიძებლად. ვაჟა -ფშაველამ საკუთარი შემოქმედებით გვირგვინი დაიდგა თავზე და ჩვენგან ფიზიკურად წასული, დღესაც ცდილობს თავისი ხალხის პატრიოტიზმით აღჭურვას და გვირგვინის ჩვენთვის მორგებას...

ნანა ბუკია.

ნარმატებული ხობელები

თამთა ხარამიშვილი

ჰამბურგის უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებული

ხობის მუნიციპალიტეტის მკვიდრი, წარმატებული ახალგაზრდა თამთა ხარამიშვილი ქალაქ ჰამბურგის ტექნიკურ და გამოყენებად მეცნიერებათაუნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

თამთასთვის გერმანიაში წასვლის მიზანი ევროპული განათლების მიღება და განვითარება იყო. 2013 წლიდან სწავლობდა ქალაქ ჰამბურგის ტექნიკურ დაგამოყენებადი მეცნიერებების უნივერსიტეტში, ლოჯისტიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად მუშაობდა და გამოცდილებასიღებდა სხვადასხვა მიმართულებით. უმუშავია ისეთ ფირმაში, როგორიცაა Deutsche Post-ის (2014-2015 წლებში) ლოჯისტიკის განყოფილებაში. 2015-2016 წლებში საქმიანობას ეწეოდა ფირმაში, რომლის საშეწარმეოსაქმიანობა დაკავშირებულია საქონლის და მომსახურების გაყიდვასთან–საბოლოო მომხმარებლებზე. მუშაობის პროცესში მონაწილეობას აქვს მიღებული ფრანკფურტის, დიუსელდორფის, ბერლინისა და ჰამბურგისსაერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში. თამთა პასუხისმგებელი იყო ხარის სხისკონტროლზე, კლიენტების მოზიდვაზე, კოლექციის დაგეგმვასა დამარკეტინგზე.

სწავლის და მუშაობის პარალელურად იყო ჰამბურგის გამოყენებადი მეცნიერებების უნივერსიტეტის არჩეული თვითმმართველობის წევრი. სპორტული, კულტურული, შემეცნებითი და გასართობი პროექტების და ღონისძიებების ორგანიზატორი.

2017 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში EF International Language Centres-ში. კურსის წარმატებით დასრულების შედეგ გადაეცა მსოფლიოში აღიარებული Council of Europe Level სერთიფიკატი.

2017-2018 წლებში მუშაობდა ფირმაში B&P Bergmannpartners-ში, რომლი სძირითადი საქმიანობა უძრავი ქონების მენეჯმენტი და საპორტფელეკაპიტალდაბანდებების, აქტივების პორტფელის სტრუქტურის დარეგულირება და ინვესტორებისთვის მიმზიდველი შეთავაზებების მომზადებაა.

სამუშაო გამოცდილება მიიღო ჰამბურგის საბალეტო სკოლაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით.

2019 წელს მუშაობა დაიწყო Lufthansa Industry Solutions-ში. Lufthansa Industry Solutions არის Lufhhansas დამოუკიდებელი შვილობილი კომპანია 2015წლიდან, რომელიც მომხმარებლებს ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის, ენერგეტიკის, ჯანდაცვის, IT სისტემების, ავიაციის, მედიისა დასაგამომცემლო სექტორებისთვის გადაწყვეტილებებს სთავაზობს, როგორც Lufthansa Group-ის წევრებს, ასევე მსოფლიო მასშტაბის ფარგლებში. თამთა ინტერაქტიული მარკეტინგული სფეროში მუშაობდა და დაუგეგმავს დამონაწილეობა მიუღია არაერთ ღონისძიებაში: Forum Digitalisirung ჰამბურგსა და ფრანკფურტში, SAP Special,Artificial Inteligence, Patris Days 2019 ბერლინში.

2019-2020 წლებში მუშაობდა The Fontenay-ში, რომელიც საერთაშორისო The Leading Hotels of the World ჯგუფის წევრი სასტუმროა. სხვათაშორის, ამტიტულით პირველი სასტუმრო ჰამბურგში. თამთა მუშაობდა ფინანსურ განყოფილებაში და მის მოვალეობაში შედიოდა ოპერატიული აღრიცხვის/ მონაცემების შეფასება და ასახვა, ფინანსური ანგარიშების მომზადება, ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიხცვა. ამ ოპერაციების შეჯამება, მათშორის ბალანსი, რომელიც აღწერს კომპანიის ოპერაციულ მუშაობასგანსაზღვრულ პერიოდში.

2020 წლიდან დღემდე დასაქმებულია NBBN-ში, ლონდონის MSI Global Alliance-ის წევრ კომპანიაში, რომელიც ეწევა მომსახურებას საგადასახადო, იურიდიულ და აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმართულებით. თამთა ეუფლება გერმანიის საგადასახადოს სისტემას, წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე ევალება გერმანიის კომერციული კოდექსის (HGB) საფუძველზე წლიური ფინანსური ანგარიშგების და საგადასახადო დეკლარაციების მომზადება, კომპანიების ეკონომიკური ანალიზი და მაჩვენებლების დადგენა სამართლებრივი კანონების და ნორმების გათვალისწინებით.

თამთა სწავლობს გერმანიის შრომის და სამოქალაქო კოდექსს.

ლევან ღვინჯილიას ბლოგიდან

კოვიდ-19

1

თუ რა არის კოვიდ ინფექცია, რა მდგომარეობაა ხობის მუნიციპალიტეტში, როგორ მიმდინარეობს ვაქცინაცია, ვესაუბრეთ ოჯახის ექიმ **მანანა (აზა) საჯაიას:**

–2019 წლის მიწურულსა და 2020 წლის დასაწყისში აღმოჩენილიქნა ახალი ვირუსული ინფექცია, რომელსაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიენიჭა სახელწოდება ახალი კორონავირუსი.

კორონავირუსს ეს სახელი ეწოდა მისი აღნაგობის გამო. მას აქვს მომრგვალო, ოვალური ფორმა, ვირიონს აქვს სუპერკაფსიდი, რომლებშიც მოთავსებულია გამონაზარდები და ჰგავს გვირგვინს.

ინფექციის პირველადი წყარო ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა იყოს ღამურა, ხოლო შუალედური რგოლი პანგოლინი. დადასტურდა ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა. გადაცემა ხდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით. მგრძნობიარეა ულტრაიისფერი და მაღალი ტემპერატურის მიმართ. გარემოში ძლებს მაქსიმუმ 9 დღე, 560 ცელსიუს ტემპერატურაზე ცოცხლობს 30 წუთი. ინაქტივირდება უნივერსალური სადეზინფექციო საშუალებებით. (ნატრიუმის ჰიპოქლორიდი, ეთანოლი, ქლოროფორმა და ქლორის შემცველი სხვა ნივთიერებები).

SARS-COV-2 მასპინძელ უჯრედებში აღწევს ცილის საშუალებით. ალვეოლებში, ინტესტინურ ეპითელურ უჯრედებში (მაგ. კარდიომიოციტები, ღვიძლი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, საკვერცხე, პანკრეასი და ა.შ.), კლინიკური სიმპტომები: ცხელება 90 %, ხველა–75%, ქოშინი–62%, მიალგია სისუსტე–44%, თავის ტკივილი–10%, თირკმლის ფუნქციის დაქვეითება–5%, დიარეა–3%.

კოვიდინფექცია შესაძლოა მიმდინარეობდეს მსუბუქი, საშუალო და მძიმე ფორმით. დაავადება პროგრესირებს სწრაფად ხანდაზმულ და ქრონიკული, თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში, ქიმიოთერაპიაზე, ბოლო 6 თვის განმავლობაში ოპერაციულ მკურნალობაზე მყოფი, ინკლუზიური ჩარევის შემთხვევაში, შესაძლოა არასახარბიელო გამოსავალი.

კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სწორი დიაგნოსტირება, რომლებიც ხდება ე.წ. საბაზისო კვლევის, ასევე ლაბორატირიულ-რადიოლოგიურ მეთოდებზე დაფუძნებით. ლაბორატირიული კვლევებიდან „ოქროს სტანდარტი“ პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქცია „PCR“ და ე.წ. სწრაფი ტესტი–ანტისხეულებით ტესტირების მეთოდი.

პანდემიის შეჩერების ეფექტური საშუალებაა კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია. ის სწორი არჩევანია საკუთარი თავის, ოჯახის და საზოგადოების დასაცავად. ვაქცინაცია ამცირებს დაინფიცირების, ავადობის და სიკვდილიანობის რისკს, რომელიც რეკომენდებულია იმ შემთხვევაშიც თუ დაავადება უკვე გადაიტანეთ.

ვაქცინაციის პარალელურად აუცილებელია განაგრძოთ ნიღბის ტარება, სულ მცირე ერთ მეტრიანი დისტანცია და ხელის ჰიგიენური დაცვა.

კოვიდ ვაქცინაცია უკვე დაინერგა 110-ზე მეტ ქვეყანაში და 280 მილიონ დოზაზე მეტი იქნა უკვე გაკეთებული. ვაქცინირების უმეტესობა ორ დოზიანია. აცრებს შორის ინტერვალი განსხვავებულია და აღწერილია თანმხლებ ანოტაციაში.

სრულყოფილი იმუნიზაციის მისაღწევად, აუცილებელია გავაკეთოთ ორივე დოზა. პირველ დოზაზე გამოვლენილი შესაძლო გვერდითი მოვლენები არ წარმოადგენს მეორე დოზის მიღების უკუჩვენებას. მეორე დოზის არ ჩატარების გადაწყვეტილებას იღებს ექიმი. იმუნიტეტის გამომუშავებას დრო სჭირდება, ის ხდება მეორე დოზის მიღებიდან 1-2 კვირაში.

ვაქცინაციას შესაძლოა ახლდეს გვერდითი მოვლენები, რაც ნორმალურია და მიანიშნებს, რომ თქვენი ორგანიზმი გამოიმუშავებს იმუნიტეტს. გვერდითი მოვლენები უმეტესწილად მსუბუქია (ტკივილი, კანის სიმხურვალე, სიწითლე, შეშუპება, სისხლჩაქცევა ინექციის ადგილზე, მიალგია, ართრაკლგია, გულის რევის შეგრძნება, თავის ტკივილი, დაღლილობა, შემცივნება, ხველება, ღებინება, ინექციის ადგილის გამკვრივება. კიდევ ვიმეორებ ეს შესაძლოა განვითარდეს, შეიძლება არა. სერიოზული გვერდითი მოვლენების გამოვლენისთანავე უნდა დაუკავშირდეთ ექიმს ან დარეკოთ 112-ზე.

ჩვენს რაიონში ვაქცინაცია ძირითადად მიმდინარეობს ჩინური წარმოების ვაქცინებით–სინოფარმი და სინოვაკი.

ვაქცინაცია დაიწყო და მიმდინარეობს ყოველდღე 10-დან 18 სააათამდე. სულ ჩატარებულია სინოფარმის 538 და სინოვაკის 414 ვაქცინა.

საყოველთაო ვაქცინაციის დასაწყებად ხობში 15 ივლისიდან ვაქცინაციის პროცესში ჩაერთო კიდევ 2 კლინიკა–შ.პ.ს. „პულსი” და შ.პ.ს. „მკურნალი“, რომლებიც გარდა სამუშაო დღეებისა, მუშაობენ შაბათსაც.

ესაუბრა
ნანი კილასონია.

ვაქცინაცია ინდივიდუალური უფლება და საყოველთაო პასუხისმგებლობაა

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტში კოვიდ-19-ის გავრცელების მხრივ უკანასკნელი თვეების სტატისტიკა ასეთია;

მატება დაიწყო 2021 წლის მარტის შუა რიცხვებიდან. მარტის თვეში კოვიდ-19 დაუდასტურდა 59 პირს, აპრილში გვქონდა 199 დადასტურებული, მაისში 225 დადასტურებული, ივნისის თვეში 94 დადასტურებული შემთხვევა. ივლისის პირველ ნახევარში კი 31. უკვე შეიმჩნევა მატების ტენდენცია, ქვეყანას ემუქრება ძალიან რთული სიტუაცია, ჩვენი გათვლებით დიდი ალბათობაა დაიწყოს მეოთხე ტალღა. მიზეზი ამისა არის ის, რომ მოსახლეობამ მოადუნა ყურადღება, არ იკეთებენ პირბადეს დახურულ სივრცეში, ტრანსპორტში, ხალხმრავალ ადგილებში. მატება გამოწვეულია ასევე შეზღუდვების მოხსნით, იმატა საზღვარგარეთიდან შემოსული პირების მიერ ვირუსის შემოტანის შემთხვევებმა.

ქვეყანაში ბოლო დღეებში იზრდება ინფიცირებულთა რიცხვი, რაც მეტად საყურადღებოა.

გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან არის შემდეგში:

18 წლის ზემოთ მოსახლეობამ უნდა ჩაიტაროს კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო აცრები.

უნდაგაფართოვდეს ტესტირება.

პირბადის ტარება და დაწესებული შეზღუდვების და რეკომენდაციების მკაცრი დაცვა თითეული მოქალაქის მხრიდან.

ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს კოვიდზე საეჭვო ან დადასტურებული ადამიანების მიერ თვითიზოლაციის წესების დაცვას 12 დღის განმავლობაში, რაც მკაცრად კონტროლდება ხობის პოლიციის სამმართველოს და ჩვენი სამსახურის მიერ.

ქვეყნის მასშტაბით ამჟამად ხელმისაწვდომია შემდეგი ვაქცინები:

სინოვაკი, სინოფარმი, ფაიზერი, ასტრაზენეკა. 14 ივლისიდან დაიწყო აცრები ფაიზერზე და ასტრაზენეკაზე.

ხობის ევექსის კლინიკაში შეფერხების დარეშე მიმდინარეობს სინოვაკით და სინოფარმით აცრები ამჯერად ცოცხალი რიგითაც.

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სახელით, თხოვნით მივმართავ მოსახლეობას აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში. ხობის ევექსის ამცრელი კაბინეტი მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი აგრძელებს შეხვედრებს ფერმერებთან

მიმდინარე წლის 9 ივლისს საექსტენციო მომსახურების პრინციპით გაგრძელდა შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში ფერმერის თხილის ბაღში.

შეხვედრაზე ცენტრის სპეციალისტებმა დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაციები მიმდინარე სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ.

ფერმერებში დიდი ინტერესი გამოიწვია გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების 10 წლიანმა სამოქმედო გეგმამ.

შეხვედრები გაგრძელდება წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით და ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართება.

განცხადება

კოლეჯ „ფაზისის“ ხობის (ნოჯიხევის) ფილიალში მიღება ცხადდება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ფერმერობა /მეთევზეობა– IV საფეხური

მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება–III საფეხური

ელექტროობა– III საფეხური

თმის მომსახურება–III საფეხური

აგრომექანიზაცია–IV საფეხური

მებაღეობა (ინტეგრირებული)–IVსაფეხური

ფერმერი-მემცენარე (ინტეგრირებული)–IV საფეხური

რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ონლაინ (https://vet.emis.ge/#/).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია 20 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.

სულთათანა

მომენატრე!..
(კლარა კილასონია)

მომენატრე, ტკივილამდე მომენატრე. მომენატრა შენი ღიმილი, სიცილი, ნახვა მომინდა შენი. ყოველთვის თან მდევს ჩემი ალექსანდრას დამშვიდობება შენთან. გახსოვს? ხელის აწევით, რომ დაგიძახა „კარგად დაიკო!“ ჩვენ რომ კლარიკოს გეძახდით, ალბათ მასაც ჩვენსავით უნდოდა წარმოეთქვა, ძალიან პატარა იყო მაშინ და თავისებურად დაგემშვიდობა.

ნეტავ შენც მოსწრებოდი შვილიშვილებს, ძალიან კარგი და საყვარელი ბებო იქნებოდი. რამდენ ლამაზ სიმღერას ასწავლიდი. შენი ხმის ჭირიმე, როგორ კარგად მღეროდი, ტკბილი გოგო იყავი და სიმღერაც ისეთივე ტკბილი გეხერხებოდა.

რა მალე გაილია წლები, რა მალე გაირბინა დრომ. ასე მგონია, გუშინ გნახე, მომენატრე, მიყვარხარ! ვწერ და ვტირი. შენს ყოველ მოგონებას ცრემლები ნამავს. ნეტავ ისე მომაფერებინა შენთვის. შენ შვილების, ქმრის, დების, ძმის, მათი შვილებისა და „კალიკოების“ ტკივილად და ცრემლებად იქეცი.

ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გვტკივა უშენობა. მოსკოვიდან „კალიკოები“ რომ ჩამოვლენ, მაშინ როგორ მოიქცევი, ვაგლახ, რომ ვერ მოესიყვარულები შენეულად, ჩვენგან გამორჩეულად. მათ თანატოლად და სურვილების ამსრულებლად ვერ გადაიქცევი.

კლარა, ჩემო დაო, შენს საფლავთან მისული მუდამ გებოდიშები და გეკითხები, რატომ წახვედი ასე ნაადრევად ყველაზე უმცროსი.

დაო, ყვავილებისა და სილამაზის, სიხუფთავისა და ყოველგვარი სიკეთის მოყვარულს საფლავსაც და სახლში შენი ყვავილების ბაღს ყოველთვის გილამაზებენ ანზორი და შენი გიგა და გოგა, ნუნუ ხომ თან გადაგყვა. ვერა და ვერ შეეჩვია შენი ამ ქვეყნიდან წასვლას. რამაზი, დოდო, მე და მაყვალა ნუ იტყვი, გვტკივა უშენობა...

გაზაფხულის მოსვლა დამენანა უშენოდ. ძალიან გიყვარდა. ახლა ზაფხულია, პაპანაქება, როგორ დააკლდებათ შენს შვილებს, შენს ოჯახს შენეული „ნობათები“.

კლარიკო, საყვარელო, ჩემო ყოველმხრივ შემკობილო, კეთილო, ნიჭიერო, მოსიყვარულევ, შვილებზე, ქმარზე გადაგებულო ადამიანო. გჯეროდეს, ისინი გესათუთებოდნენ მუდამჟამს და ახლაც გესიყვარულებიან და სათუთად უვლიან შენს დატოვებულ თითოეულ ნივთსა თუ ყველაფერს, რასაც შენ შეხებიხარ, უპირველესად შენს საფლავს!..

ჩვენო დაო, ჩვენო ტკივილო!

მშვიდობით!

ნანი კილასონია.

ვალია (მზია) თოდუა–ზარანდია



ადრე დაქვრივებულმა სიმწრით გამოზარდა სამი ობოლი ვაჟკაცი.

18 წლის წინათ, უმცროსი 34 წლის გოდერძი მიაბარა მიწას. შეიმოსა ძაძებით, ცხოვრების სურვილი დაკარგა.

...შუახანს გადაცილებულმა ქალბატონმა საკუთარ თავში ძალა იპოვა, ქვრივად დარჩენილ, ახალგაზრდა რძალს ობლად დარჩენილი პატარების გაზრდაში გვერდით დაუდგა, ოჯახის დედაბოძად ყოფნა ისევ განაგრძო. უფალმა გააძლიერა შრომობდა, მტკივან გულს შვილების, რძლების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების არსებობა, მათი კარგად ყოფნა უხალისებდა. თითქოს ტკივილს მიეჩვიაო, მაგრამ თვალები ვერ ტყუოდნენ, ისევ სევდასა და ნაღველს აფრქვევდნენ.

...5 წლის წინათ კი ტკივილს ტკივილი დაემატა. სიკვდილი შემოეჩვიაო თითქოს, ხელახლა განიცადა ის ტანჯვა, რასაც შვილის გარდაცვალება ჰქვია. შუათანა ვაჟი, საოცრად თბილი და მოსიყვარულე, 51 წლის ზვიადი გამოეცალა ხელიდან. მასაც შვილები დარჩა გასაზრდელი.

„შვილმკვდარ დედებს უფალი აძლიერებს, ცოცხლად დარჩენილებისთვის უნდა იცხოვრონო“–იტყვიან...

...ისევ ეცადა, როგორც შეეძლო, თავი არ დაზოგა. უნდოდა ობოლი ბიჭების დაოჯახებას მოსწრებოდა... ეცოდებოდა უფროსი ვაჟი, რომელსაც სიკვდილმა უმცროსი ძმები წაართვა.

მიუხედავად დიდი ტკივილისა, არ გაბორეტებულა. დაკარგული შვილებისთვის გასაცემ სითბოს სხვათა მოფერებაში ხარჯავდა... მაგრამ ვერ გაუძლო, ამდენი წლის ტანჯულ ცხოვრებას, ჯანმრთელობამ, მტკივანმა გულმა უმტყუნა და გაეცალა წუთისოფელს, მშვიდად დაიდო სამუდამო ბინა მონატრებულ შვილებთან.

უფალმა ნათელში გამყოფოს, კარის მეზობელო, საყვარელო ქალბატონო!

გემშვიდობებით!

არასდროს დაგივიწყებთ!

ჯულიეტა ლატარია

კლასიკური მუსიკის კონცერტი

ხობის ცენტრალურ პარკში, გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის მონაწილეობით, კლასიკური მუსიკის შემეცნებითი ლექცია-კონცერტი გაიმართა.

კონცერტი პროექტის „კლასიკური მუსიკის კონცერტები ალტერნატიულ სივრცეებში საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში“ ფარგლებში „კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ ორგანიზებით და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით ჩატარდა.

კონცერტის მსვლელობისას თავად მუსიკოს-შემსრულებლებმა ისაუბრეს მუსიკაზე, მუსიკოსებზე, კომპოზიტორებზე, ეპოქაზე, ნაწარმოებებსა თუ ინსტრუმენტებზე. აღნიშნულ ღონისძიებას ინტერაქტიული, შემეცნებით-გასართობი ფორმა ჰქონდა.

პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის კლასიკური მუსიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კლასიკური მუსიკით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და მოსმენის კულტურის განვითარება.

„მადლობა მათ, გამიფერადეს ცხოვრება...“

ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ... უთქვამს მწერალს და ამით ბევრი რამაა თქმული, ყველაზე მეტად კი ის, რომ ადრეულ ასაკში მიღებული შთაბეჭდილებები ცხოვლად აჩნდება ადამიანის გრძნობებს, რომელიც გვირისტდება ყრმის სულში და შემდეგ გადმოედინება.

ბავშვობის ლამაზი წლების ათვლა საბავშვო ბაგა-ბაღიდან იწყება, პიროვნების ჩამოყალიბების საძირკველიც აქედან იღებს სათავეს. საძირკველის სიმტკიცე კი იქ მომუშავე ადამიანებზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღზრდიან ისინი პატარებს, როგორ ჩაუნერგავენ მოზარდს სულსა და გულში ქვეყნისა და შრომის სიყვარულს, პატიოსნებასა და სათნოებას, სწრაფვას სიკეთისკენ, შემოქმედებითი აზროვნებისკენ...

* * *

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს და თავიანთი ცხოვრებით საზოგადოებისთვის თვალსაჩინონი ხდებიან.

ეს ნარკვევი ერთ-ერთ მათგანს, ხამისქურის საბავშვო ბაღის მთავარ სპეციალისტს ზაირა ანთიაქირიას ეძღვნება. ვისაც ამ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან რაიმე კავშირი ჰქონია. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მისთვის ეს სახელი და გვარი რასაკვირველია ცნობილია...

ხამისქურის საბავშვო ბაღის ისტორია დიდი ხნის წინ დაიწყო. სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებამ ნახევარი საუკუნის წინ გადაშალა დროის კალენდარზე პირველი ფურცელი და მას შემდეგ მრავალი თაობა გაუყენა ცოდნის დაუფლებისკენ მიმავალ გზას.

1984 წლიდან კი საბავშვო ბაღს სათავეში ჩაუდგა ქალბატონი ზაირა ანთია და 40 წელზე მეტია თავდაუზოგავად ხელმძღვანელობს მას.

საბავშვო ბაგა-ბაღი რამდენი სითბო და სიყვარულია ამ სიტყვების უკან, რამდენი მოგონება, ეს ხომ პატარების განუმეორებელი, ჯადოსნური სამყაროა თავისი „მოქმედი გმირებით“. ქალბატონი ზაირა გმირია, რადგან არ არის იოლი ოთხ ათეულ წელზე მეტი ღირსეულად ემსახურო თაობათა ცვლას.

„ადამიანებისთვის მცირეოდენი სიკეთის მოტანა შევძელი და ვფიქრობ, მადლიერიც ბევრი მყავს“ ეს სიტყვები ქალბატონ ზაირას ეკუთვნის.–სულით და ხორცით მშვენიერს, ბუნებით აქტიურს, ფუტკარივით მოფუსფუსეს, მაღალი ინტელექტითა და გონებრივი შესაძლებლობებით, მაღალი სულიერი და ზნეობრივი სისპეტაკით გამორჩეულს, საქმის ერთგულს.

დიახ, ამ თვისებების გამო სარგებლობს ღვაწლმოსილი მუშაკი უდიდესი სიყვარულით, მას ყველა თაობის ადამიანი აფასებს. ყველა კრძალვით და მოწიწებით ეპყრობა, ყველას ეამაყება. არა ერთი მადლობა და პატივისცემა დაუმსახურებია ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებისგან.

მართლაც თვალს სიამოვნებს და გულს ახარებს ხამისქურის საბავშვო ბაღის პატარა გოგო-ბიჭების ჟრიამული, სიხარულით, სიყვარულით სავსე მოციმციმე თვალები. აქ შექმნილი გარემოთი ბედნიერი და გახარებული სახეები.

შენობა ტიპიურია, 50 აღსაზრდელზეა გათვლილი, სრულყოფილი ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით, ღია სივრცეებით, ფერადი საძინებლებით, სადაც ბავშვები თავს ლაღად გრძნობენ. არაჩვეულებრივი განწყობა სუფევს ირგვლივ. ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები, აქტივობები. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ბავშვები მოამზადონ არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც.

მადლობა ბაღის მთელ კოლექტივს იმისთვის, რომ შეთანხმებული მოქმედებით ერთ გუნდად შეკრული ყოველთვის ცდილობენ პატარებსა და მათ მშობლებს გაუმრავალფეროვნონ ლამაზი დღეები და მათი კეთილი განწყობა სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენონ.

„საქმემან შენმამ წარმოგაჩინოსო“, მაგრამ რთულია, ერთ პატარა საგაზეთო სტატიაში შრომაში დაბრძენებული ცხოვრებისა და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონის ღვაწლის ჩატევა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს: წლების წინ მის მიერ დაწყებული საქმე წარმატებით გრძელდება. ქალბატონი ზაირა დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს ფუსფუსს, თავს ევლება პატარებს და დღითიდღე ალამაზებს იქაურობას. გულანთებული რწმენით და კეთილი განწყობით.

როდესაც ქალბატონ ზაირას ვკითხე, რა არის თქვენთვის ეს ადგილი? მითხრა:

–ალბათ ადგილი, სადაც სულიერ სიმშვიდეს ვპოულობ, სადაც ყველაფერი ბავშვების დიდი სიყვარულითაა გაცისკროვნებული. მათ გამიფერადეს ცხოვრება...

ნათქვამია: ადამიანის ერთგვარი სავიზიტო ბარათი ოჯახიაო, ამ მხრივაც გამორჩეულია ქალბატონი ზაირა. მართალია მეუღლე, ბატონი ენვერ ქირია, ადრე გარდაიცვალა, მაგრამ წლების განმავლობაში ერთად შექმნილი ქართული ტრადიციული ოჯახი მტკიცეა. ყველას უხარია მათ ოჯახთან ურთიერთობა, რომელიც ყოფიერების უდაბნოში ნამდვილი ოაზისივით ხასხასებს. ლევ ტოლსტოის უთქვამს: „ბედნიერია ის, ვინც თავის სახლში ბედნიერიაო.“ ქალბატონი ზაირა წარმატებული შვილებით და შვილიშვილებით ხარობს. უფროსი შვილიშვილი უკრაინაში სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია, ორი სკოლის მოსწავლეა.

მართალია, მისი შვილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ მაგრამ, მათი არაჩვეულებრივი დედა მამისეულ კერას „აკაშკაშებს“. საიუბილეო საღამოზე, რომელიც მოკრძალებით გაიმართა, შვილებმა კურიერის საშუალებით ქალბატონ ზაირას სიურპრიზი მოუწყვეს და ულამაზესი ვარდების „ხეივანი“ გამოუგზავნეს საჩუქრად.

მადლობა გამძლეობისთვის, არსებობისთვის, იმისთვის, რომ ასე ლამაზად გადათვალეთ წლები, იცოცხლეთ თქვენთვის მონატრებული შვილებით, შვილიშვილებით... ვინც ქალბატონ ზაირას იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს ხმამაღალი ნათქვამი არაა, რადგან ყოველი ადამიანი მისი საქმით განისჯება.

* * *

საოცარია გავლილი წლების ხიბლი. დრო, დრო სწრაფად მიდის... ასე მოვიდა ორი საიუბილეო თარიღი–პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობისა.

გილოცავთ ქალბატონო ზაირა, მინდა დიდხანს იცოცხლოთ. . სიხარული, სულის მხნეობა არ მოგკლებოდეთ. დიდხანს გქონოდეთ ძალა, უნარი, ქალური სიმშვენიერე და გარემო პირობები, რათა აკეთოთ თქვენთვის საყვარელი საქმე...

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წაადგება არა მარტო თქვენს მშვენიერ ოჯახს, არამედ სრულიად საქართველოს.

მადლი უფალს, რომ ჩვენს გვერდით ხართ.

სიყვარულით

ნაირა ბერაია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.